

ქალაქ ქუთაისში, ხეთაგუროვის ქუჩა N9ა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ოროთახიანი ბინის 1/2 ნაწილზე, მოქალაქე თამარა სტაროდუბცევასათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ხეთაგუროვის ქუჩა N9ა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ოროთახიანი ბინაში მცხოვრები მოქალაქე თამარა სტაროდუბცევას განცხადება /2013 წლის 18.02 Nს-1917/, რითაც ითხოვს ოროთახიანი ბინის 1/2 ნაწილზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხეთაგუროვის ქუჩა N9ა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ოროთახიანი ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხეთაგუროვის ქუჩა N9ა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ოროთახიანი ბინის 1/2 ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თამარა სტაროდუბცევას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხეთაგუროვის ქუჩა N9ა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ოროთახიანი ბინის 1/2 ნაწილზე /საერთო ფართობი 35,80 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 25,48 კვ.მ, დამხმარე ფართობი 10,32 კვ.მ, საერთო სარგებლობის ფართობი 5,60 კვ.მ./ მოქალაქე თამარა სტაროდუბცევას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი